საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქეთევან ცინცაძე

# ბიულეტენი

| | |
|---|---|
| კენჭისყრა - 12.11.2021 | |
| თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ნინო სანდოძე? | |
| დიახ | არა |

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს

ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის

ქეთევან ცინცაძის

# მ ი მ ა რ თ ვ ა

12 ნოემბერი, 2021 წელი ქ. თბილისი

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $34^1$ მუხლის მე-15 და და მე-13 პუნქტების შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს პარლამენტისთვის ნინო სანდოძის კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთებას.

დანართი: 1 ფურცლად

პატივისცემით,

ქეთევან ცინცაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს პარლამენტისთვის ნინო სანდოძის კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

# დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

12 ნოემბერი, 2021 წელი ქ. თბილისი

2021 წლის 12 ნოემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-15 და მე-13 პუნქტების შესაბამისად ჩატარებული ღია კენჭისყრის ფარგლებში, მხარი დავუჭირე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის ნინო სანდოძის კანდიდატურის წარდგენას, შემდეგ გარემოებათა გამო:

კანდიდატის ნინო სანდოძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კანდიდატის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ მოპოვებული ინფორმაციის და კანდიდატთან ჩატარებული საჯარო გასაუბრების საფუძველზე, მივედი დასკვნამდე, რომ კანდიდატი - ნინო სანდოძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატი, ჩემს მიერ შეფასდა მაღალი შეფასებით - 90 ქულით (90%) (იხ. ქეთევან ცინცაძის - 2021 წლის 28 მაისის შეფასების დასაბუთება - კანდიდატის ნინო სანდოძის შესახებ).

ამდენად, მითითებული გარემოებების გათვალისწინებით მივიჩნევ, რომ ნინო სანდოძე სრულად აკმაყოფილებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად საჭირო კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმს და იგი სრულად შეესაბამება ამ თანამდებობას, რის გამოც, მხარს ვუჭერ მისი კანდიდატურის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ქეთევან ცინცაძე